ხელშეკრულება

ფართის გაქირავებაზე

„01" იანვარი 2014 წ

ქ. თბილისი

გამქირავებელი ს/ს "თბილისის ცენტრ. ა/ვაგზალი"-ს (ს/კ 204382435) გენ. დირექტორი თ. ჯამრიშვილი

დამქირავებელი შ.პ.ს. „AUTO MARKET"- დირექტორ ბატონ ჯანდიერი

ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულება განსაზღვრავს ურთიერთდამოკიდებულებას „გამქირავებელსა" და „დამქირავებელს" შორის ფართის ქირავნობას კომერციული საქმიანობისათვის შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი გულიას ქ№1

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 „გამქირავებელი" ვალდებულია:
შეურჩიოს „დამქირავებელს" საჭირო ფართი და შეუქმნას ხელშემწყობი პირობები ნორმალური მუშაობისათვის.

2.2 „დამქირავებელი" ვალდებულია:
საჭიროების შემთხვევაში ქირით აღებულ ფართს ჩაუტაროს შეკეთება და განახორციელოს საჭირო სამშენებლო სამუშაოები საკუთარი ხარჯებით, დაიცვას სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმები. უზრუნველყოს არსებული ქონების უშუალო დაცვა. შეუფერხებლად და დროულად გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური გადასახადი და ცალკე კომუნალური ხარჯები.

2.3 ავტოვაგზლიდან დაქირავებულ საოფისე ფართს დამქირავებელმა შეიძლება ჩაუტაროს კაპიტალური რემონტი ან გამქირავებლის ნებართვით განახორციელოს მცირედი გადაკეთება. ყველა ეს ხარჯი გაიწევა დამქირავებლის მიერ, მაგრამ წარმოადგენს გაქირავებული ფართის განუყოფელ ნაწილს და ხელშეკრულების ვადის გასვლის ან ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში არ უბრუნდება და არც აუნაზღაურდება დამქირავებელს გამქირავებისაგან.

2.4 ხელშეკრულების გასვლის ან შეწყვეტის შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია აღადგინოს ხელშეკრულების დადებამდე არსებული შენობა –ნაგებობა პირვანდელი მდგომარეობით, თუ ამას მოითხოვს „გამქირავებელი"

3. ფინანსური ურთიერთობები

3.1 შეთანხმებისამებრ დაკავებული ფართის /ოთახის/ საიჯარო ფასი დადგენილია თვეში 1 აშშ დოლარის ექვივალენტი-არანაკლებ 1000 ლარისა, ამ თანხაში შედის დამატებითი ღირებულების გადასახადი. ანგარიშსწორება ხდება ყოველი საანგარიშო თვის დადგომამდე.

3.2 იმ შემთხვევაში, თუ საჭირო თანხის გადახდა სამ თვეს გადასცილდება ხელშეკრულება ავტომატურად უქმდება, მაგრამ დამქირავებელი არ თავისუფლდება ამ სამი თვის დავალიანების გადახდისაგან.

3.3 მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და ნაგვის გატანის ღირებულება თვეში 20 ლარი. დღგ-ის ჩათვლით.

3.4 ს/ს „თბილისის ცენტრალურ ა/ვაგზალს" ქ. თბილისის საკრებულოს 2011 წლის 24/VI №7-38 გადაწყვეტილების შესაბამისად უხდის ნარჩენების მართვის ღირებულებას თვეში _____ლარი წინასწარ საანგარიშო თვის დადგომამდე.

3.5 ს.ს "თბილისის ცენტრ. ა/ვაგზლის" კუთვნილი ტელეფონის №_____გამოყენებისათვის იჯარის სახით უხდის თვეში_____ლარს, ინტერნეტ მომსახურეობისათვის 30 ლარს. დღგ-ის ჩათვლით.

3.6 ელექტრო ენერგიის და წყლის ღირებულება შესაბამისი მრიცხველების მიხედვით ანაზღაურდება ქ. თბილისში დადგენილი ტარიფებით.

3.7 ელექტრო ქვესადგურის მომსახურებისა და მცირე რემონტის, წყლისა და ელექტრო შიდა ქსელების მომსახურებისა და რემონტისათვის დამქირავებელი, ხელშეკრულების 3.1 მუხლში აღნიშნულ საიჯარო ფასზე დამატებით, იხდის მოხმარებული ელექტრო ენერგიისა და წყლის რაოდენობის შესაბამისად (1 კვ. ს-ზე-2 თეთრი 1 კუბმ წყალზე 30 თეთრი).

3.8 საიჯარო ქირის ღირებულება ყოველი წლის 1 იანვრიდან გაიზრდება 10 პროცენტით ან იმფლაციის სიდიდის შესაბამისად. ხოლო ელ ენერგიისა და წყლის ღირებულების ცვლილება მოხდება ტარიფების ცვლილებების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ვადები და ვადის გაგრძელება

4.1 ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 1/1 - ღა 2015 წლამდე.

4.2 ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დამქირავებელს და გამქირავებელს შეუძლია ნებისმიერ მომენტში, რაზეც 10 დღით ადრე უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

4.3 საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა ან განაახლონ ხელშეკრულება.

5. სხვადასხვა

5.1 ხელშეკრულება შედგენილია ორ გვერდზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

5.2 ყველა სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების ან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. მხარეთა იურიდიული მისამართები

გამქირავებელი
ს/ს "თბილისის ცენტ. ა/ვაგზალი"
საიდენტიფიკაციო კოდი 204382435 -

ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ა/ა GE73VT60000000052593408
ბანკის კოდი UGEBGE22
გენ.დირექტორი დ. ჯამრიშვილი

„01" 2014 წ.

დამქირავებელი
შპს „AUTO MARKET"
ს/ს 400057013

„01" 2014 წ.